24 აპრილი 2026 წელი № 033-ა

სსიპ - „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს სასწავლო ტელევიზია „ART TV“

სარჩევი

1	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
2	მოკლე მიმოხილვა საზოგადოების შესახებ	5
3	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
4	შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	12
5	ფულადი ნაკადების ანგარიშგება	14
6	საწესდებო კაპიტალში ცვლილებების ანგარიში	15

საქართველო თბილისი

2026 წელი

სსიპ - „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს მენეჯმენტს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შესავალი

დასკვნა მომზადებულია სსიპ - „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი”) და აუდიტორულ კომპანია „კომპაუდს” შორის, 2026 წლის 2 აპრილს გაფორმებული N03/033 ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 2025 წლის დასრულებული წლისათვის სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფის - სასწავლო ტელევიზიის - ART TV-ს *სააღრიცხვო ფინანსური ინფორმაციის აუდიტს.*

კომპანიამ ჩაატარა ART TV *-ს მიერ წარმოდგენილი 2025 წლის სააღრიცხვო ფინანსური ინფორმაციის აუდიტი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის, რომელიც შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული თანდართული ფორმებისა და დანართების მოთხოვნათა გათვალისწინებით და მოიცავს საქართველოს კომუნიკავიების ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“-თ გათვალისწინებულ ფინანსური ინფორმაციას.*

ჩვენ ვადასტურებთ, რომ დამოუკიდებლები ვართ საზოგადოებისაგან, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით, მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. და გამოვთქვამთ:

პირობით მოსაზრება

ჩვენი აზრით, ART TV *მიერ 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის მდგომარეობით წარმოდგენილი სააღრიცხვო ფინანსური ინფორმაცია, მომზადებულია საქართველოში „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათ გათვალისწინებით, არ*

შეიცავს არსებით უზუსტობებს და ძირითადად სამართლიანად ასახავს „ორგანიზაცი“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, გარდა შემდეგ აბზაცში ასახული მოსაზრების საფუძვლებში ასახული საკითხებისა.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

არ არის დანერგილი განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგია შესაბამისად ვერ ხერხდება ტელევიზიის მიერ გაწეული კომუნალური, კავშირგამბულობის, დასუფთავების და სხვა ხარჯების გამიჯვნა უნივერსიტეტის ხარჯებიდან (ავტორიზებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს საკუთარ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში და ფილიალებში დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის მეთოდის დანერგვა და შესაბამისი სააღრიცხვო-ფინანსური ინფორმაციის წარმოება, საქართველოს კომუნიკავიების ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

„უნივერსიტეტი” პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსგასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული თანდართული ფორმებისა და დანართების შესაბამისად და მოიცავდეს საქართველოს კომუნიკავიების ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“-თ გათვალისწინებულ ფინანსური ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და დანიშნულებით წარდგენაზე პასუხისმგებელია „უნივერსიტეტი”-ს ხელმძღვანელი. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. სამართლიანი წარდგენა

მოითხოვს ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების კეთილსინდისიერად ასახვას აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ინფორმაცია არსებით უზუსტობას და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ინფორმაციაზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსური ინფორმაციაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ინფორმაციის არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ინფორმაციის წარდგენის შეფასებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ნუგზარ ხიჯაკაძე (რეგ. № SARAS-A 859265)
შპს „კომპაუდის“ სახელით
(რეგ. № SARAS-F-19441) ნ. ხიჯაკაძე

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

მოკლე მიმოხილვა

სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება დამტკიცებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის 05/91 ბრძანებით. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს სახელზე 2020 წლის 12 ნოემბერს უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილია N MES5200001089280 წერილი 2014 წლის 7 ივლისის დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, სადაც უნუვერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულადაა განსაზღვრული სასწავლო ტელევიზია. თუმცა დღეის მდგომარეობით არ არის აღნიშნული ცვლილება წესდებაში რეგისტრირებული.

ამონაწერი მაუწყებლობაზე ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან

ორგანიზაციის სახელწოდება:	**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**
ორგანიზაციის საგადასახადო კოდი:	203851028
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები:	21/03/2012, N 203851028, საჯარო რეესტრი

მაუწყებლობის ავტორიზაციის მონაცემები

* მაუწყებლობის სახე:	**ტელემაუწყებლობა**
მაუწყებლობის სახეობა:	**საუნივერსიტეტო მაუწყებლობა**
ავტორიზაციის ნომერი:	BR-5100
ავტორიზაციის თარიღი:	30/07/2020
თემატიკა/სხვა თემატიკები:	საგანმანათლებლო/შემეცნებითი/სასწავლო კურსები ხელოვნებასა და მის მომიჯნავე დარგებზე
მაუწყებლობის ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში:	12
მაუწყებლობის ენა/ენები:	ქართული
გავრცელების ტექნოლოგია, არეალი და მაუწყ. დაწყების ვადა:	ინტერნეტი(საქართველო - 31/10/20), სხვა ტექნოლოგია(საქართველო - 31/10/20),
'მაუწყებლობის შესახებ' საქართველოს კანონის კრიტერიუმები	პირველი მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტი
ხელმისაწვდომობა:	უფასო (ინტერნეტი), უფასო (სხვა ტექნოლოგია)
ბრენდული დასახელება:	ART TV

სასწავლო ტელევიზია ART TV არის უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნილი მედია პლატფორმა, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს ახალგაზრდების ინტერესების, შეხედულებების და მიღწევების გაშუქებას. მისი მიზანია სტუდენტებს საშუალება მისცეს, წარმოაჩინონ საკუთარი იდეები და პროექტები ფართო აუდიტორიის წინაშე. ტელევიზია ითვალისწინებს დინამიურ და კრეატიულ ფორმატებს, რათა მიიპყროს ახალგაზრდა აუდიტორიის ყურადღება.

ტელეკომპანია ART TV, როგორც ბრენდული სახელიც მიგვანიშნებს, სპეციალიზებულია ხელოვნების მიმართულებით მომუშავე ახალგაზრდების ხელშეწყობაზე. ეს არის პლატფორმა, რომელიც შექმნილია ხალხისთვის, რათა გააცნოს მათ ხელოვნების სხვადასხვა დარგის მრავალფეროვანი სამყარო. ტელეკომპანია ART TV ხშირად აშუქებს ხელოვანთა, რეჟისორთა და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლთა გამოფენებს, ინტერაქტიულ შოუებს და ღონისძიებებს.

ხელოვნების ტელევიზია ART TV შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც კულტურული საგანძური, რომელიც ხელ უწყობს საზოგადოების განათლებას, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ამ ტელევიზიამ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს იმ ახალგაზრდების წარმოჩენაში, რომლებიც ნაკლებად ცნობადები და მიმზიდველნი არიან კომერციული ტელევიზიებისთვის.

სსიპ - „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-მა წარმოადგინა წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წ;ის 13 ოქტომბერის N 6 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს სასწავლო ტელევიზიის დებულება, რომლის თნახმად:

სასწავლო ტელევიზიის მიზნები და ამოცანებია: - უმაღლესი განათლების ამჟამინდელი კონცეფციის/პრინციპების სასწავლო პროცესში სრულად დანერგვა, რაც გულისხმობს პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას. საუნივერსიტეტო ტელევიზია ეყრდნობა უნივერსიტეტის კინო-ტელე და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტების სტუდენტთა/ ახალკურსდამთავრებულთა/პროფესორთა მიერ მომზადებულ მასალებს, პოპულარიზაციას გაუწიოს და ხელს შეუწყოს უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროცესში პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელოვანწილად ზრდას, ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით სტუდენტთა აქტივობას და ჩართულობას, რაც

სტუდენტებს მისცემს იმგვარი პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას, რაც დაეხმარება პროფესიულ ცხოვრებასა და კარიერულ წინსვლაში; უნივერსიტეტის პოპულარიზაცია; ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებისთვის მიღწევების თაობაზე იმ ინფორმაციის მიწოდება, რომლებიც წლების განმავლობაში გროვდებოდა და მიზნობრივ აუდიტორიას აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომის ნაკლები საშუალება ჰქონდა; -გასაგებ ენაზე გააცნოსდაინტერესებულ პირებს სახელოვნებო დარგების ისტორია, სიახლეები, მსოფლიოში არსებულ გამოწვევები და მიღწევები აღნიშნული მიმართულებით; -უნივერსიტეტის პროფესორთა/ხელოვანთა ხედვის პოპულარიზაცია; საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა, იხილოს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნამუშევრები (კანონმდებლობით დადგენილი წესით და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებიშ შერჩეული), მოუსმინოს უნივერსიტეტის პროფესორთა საჯარო ლექციებს, რაც ხელს შეუწყობს როგორც კონკრეტულად, სახელოვნებო მიმართულებით ცოდნის დონის, ასევე, ზოგადი განათლების დონის ამაღლებას; საუნივერსიტეტო ტელევიზიის საშუალებით აზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია თანამედროვე მიღწევებზე კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით;

სასწავლო ტელევიზიის ფუნქციები: -. საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განხორციელება; - უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის სპეციალობის სტუდენტების პროფესიული განათლების ხელშეწყობა; პედაგოგების და სტუდენტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა აუდიოვიზუალური პუბლიკაციების დასამზადებლად; ვიდეოპროექტების დაგეგმა და წარმოების მართვა. სცენარის საფუძველზე ხარჯთაღრიცხვის მომზადება;. შესაბამის სამსახურებზე უნქციების გადანაწილება, პროცესის კონტროლი;

საუნივერსიტეტო მაუწყებლობის ძირითადი მიმართულებაა კულტურა და ხელოვნება, ხოლო სპეციფიკაა: - საგანმანათლებლო; - შემეცნებითი; - სასწავლო; - ინფორმაციული; - საუნივერსიტეტო მაუწყებლობის ძირითადი თემატიკებია: - ხელოვნება და კულტურა; -. კინო;. - თეატრი; . - მუსიკა; -. სახვითი ხელოვნება; - ხელოვნების სხვა მომიჯნავე დარგები.

უნივერსიტეტის/ტელევიზიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, შოთა რუსთველის N19. (ტელევიზიის ფაქტობრივი მისამართი დავით აღმაშენებლის გამზირი N40) ელექტრონული ფოსტის მისამართია: tafu.edu.ge

უნივერსიტეტის შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებულია და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 203851028

<u>ფინანსური ინფორმაციის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:</u>

ტელევიზიის დირექტორი: გვანცა წიკლაური პ/ნ 01030026164

უნივერსიტეტის მთავარი ბუღალტერი: სილვა წინწკალაძე პ/ნ 01003010113

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კომპანიამ ჩაატარა ტელევიზიის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის ფინანსური ინფორმაციის აუდიტი, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის, რომელიც შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული თანდართული ფორმებისა და დანართების მოთხოვნათა გათვალისწინებით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის და მოიცავს საქართველოს კომუნიკავიების ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“-თ გათვალისწინებულ ფინანსური ინფორმაციას.

საზოგადოების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი გულისხმობს ზემოთხსენებულ ბრძანებებით და დადგენილებით დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის (მოთხოვნათა გათვალისწინებით მოამზადებულ ფინანსური ანგარიშგება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების)ანგარიშგებას) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა ანგარიშგების წარმოების შესახებ“ შემოწმებას, უნივერსიტეტის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის დროს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასასახი მუხლების ჩამონათვალი განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტით.

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი) 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ეყრდნობა საბუღალტრო მონაცემებს, რომლის შედგენის საფუძველს წარემოადგენს პირველადი დოკუმენტები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა 1	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი 31.12.2025	წინა საანგ-ბო პერიოდისგადბული საბოლოო ნაშთი 01.01.2025	წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი 31.12.2024
	აქტივები				
	მოკლევადიანი აქტივები				
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	-	-	-
002	მიმდინარე ინვესტიციები	2	-	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	3	-	-	-
004	მატერიალური მარაგები	4	-	-	-
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	5	972.00	-	-
006	***სულ მოკლევადიანი აქტივები***		***972.00***	**-**	**-**
	გრძელვადიანი აქტივები				
007	ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	6	-	-	-
008	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	6-1'	-	-	-
009	ძირითადი აქტივები	7	456,053.00	504,613.00	504,613.00
010	საინვესტიციო ქონება	8	-	-	-
011	არამატერიალური აქტივები	9	-	-	-
012	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	10	-	-	-
013	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	11	-	-	-
014	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	12	-	-	-
015	***სულ გრძელვადიანი აქტივები***		***457,025.00***	***504,613.00***	***504,613.00***
016	***სულ აქტივები***		***457,025.00***	***504,613.00***	***504,613.00***
	ვალდებულებები				
	მოკლევადიანი ვალდებულებები				
017	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	13	-	-	-
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	14	-	-	-
019	გადასახდელი პროცენტი	-			
020	მიმდინარე ანარიცხები	15	-	-	-
021	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	-	-	-
022	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით	14	-	-	-
023	***სულ მოკლევადიანი ვალდებულებები***		**-**	**-**	**-**
	გრძელვადიანი ვალდებულებები				
024	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	13	-	-	-
026	შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	10			
027	გრძელვადიანი ანარიცხები	15	-	-	-
028	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები	16	-	-	-
029	***სულ გრძელვადიანი ვალდებულებები***		**-**	**-**	**-**
030	***სულ ვალდებულებები***		**-**	**-**	**-**
	წმინდა აქტივები/კაპიტალი				

031	საწესდებო კაპიტალი	F4	-	-	-
032	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი	F4	457,025.00	504,613.00	504,613.00
033	რეზერვები	F4	-	-	-
034	***სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი***		***457,025.00***	***504,613.00***	***504,613.00***
035	***სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი***		***457,025.00***	***504,613.00***	***504,613.00***
	წმინდა აქტივები/კაპიტალი				
036	საოპერაციო იჯარით მიღებული ძირითადი აქტივები	01			
037	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები	02			
038	გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანებები	03			
039	ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები ექსპლუატაციაში	04	3,766.00		3,766.00
040	პირობითი აქტივები	05			
041	პირობითი ვალდებულებები	06			
042	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07			
043	სრულად გაცვეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლუატაციაში	08			
044	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09			
045	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	10			
046	საბანკო გარანტიები	11			
047	ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანებები	12			

ჩვენს მიერ განხილულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული საბალანსო ნაშთები, რომლებიც მიიღება საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული საბალანსო ნაშთებიდან სადებეტო და საკრედიტო ბრუნვეათა შორის სხვაობის გათვალისწინებით.

საზოგადოება იყენებს დარიცხვის მეთოდი – აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის აღიარება მაშინ, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ამ ელემენტებისთვის დადგენილ განმარტებებსა და აღიარების კრიტერიუმებს. საზოგადოების აქტივად ასახულია – რესურსი, რომელსაც საზოგადოება აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ვალდებულებად ასახულია – საზოგადოების ისეთი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან. საკუთარი კაპიტალი შეადგენს – საზოგადოების აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდენ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შეუსაბამობას საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების), „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური

ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ინსტრუქციისა და საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი) ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია საზოგადოების სააღრიცხვო მონაცემებთან და შედგენილია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ინსტრუქციისა მოთხოვნების გათვალისწინებით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის.

ავღნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

საზოგადოების ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების აუდიტი გულისხმობს საზოგადოების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (სსბასს-ების) და „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ინსტრუქციისა მოთხოვნათა გათვალისწინებით შედგენილ ანგარიშგებას. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება მოიცავს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი ანგარიშებს.

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი ანაგრიშგების შესახებ ანგარიში - ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელიც ახასიათებს საზოგადოების საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ანგარიშგება წლიურია. მასში აისახება საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები, რომელიც გაიანგარიშება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით.

საზოგადოების შემოსავალი არის – ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების შემოდინების ან ხარისხის გაუმჯობესების, ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც იწვევს საწარმოს საკუთარი კაპიტალის ზრდას, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან. ხარჯები კი – ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო

პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან აქტივების ხარისხის გაუარესების, ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებასთან. შესაბამისად საზოგადოების გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი არის საწარმოს საქმიანობის შედეგი, სხვაობა ერთსა და იმავე პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, ამიტომ იგი არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ცალკე ელემენტს.

შემოსავლების, ხარჯებისა და ნამეტი/დეფიციტის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური შედეგების ანგარიშგება							
სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა[1]	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებული ბრუნვა 01.01.2025	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა 31.12.2024
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ		
	შემოსავლები						
001	საგადასახადო შემოსავლები	17			-		
002	სოციალური შენატანები	-			-		
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	-			-		
004	შემოსავლები გრანტებით	18	-	-	-	-	-
005	ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	19	-	69,922.00	69,922.00	63,385.00	63,385.00
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	19	34.00	-	34.00	12,231.00	12,231.00
007	საპროცენტო შემოსავლები	20	-	-	-	-	-
008	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგება[2]	20; 26	-	-	-	-	-
009	სხვა შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან	20	-	-	-	-	-
010	გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები	21	-	-	-	-	-
011	სხვადასხვა შემოსავლები	22	-	-	-	-	-
012	***სულ შემოსავლები***		34.00	69,922.00	69,956.00	75,616.00	75,616.00
	ხარჯები						
013	შრომის ანაზღაურება	23	-	-	-	2,661.00	2,661.00
014	საქონელი და მომსახურება	24	34.00	68,950.00	68,984.00	68,205.00	68,205.00
015	გრანტები	25	-	-	-	-	-
016	სუბსიდიები	26	-	-	-	-	-
017	სხვა ხარჯები გარდა პროცენტისა	26	-	-	-	-	-
018	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	26	-	-	-	-	-
019	ცვეთა და ამორტიზაცია	7; 12.	48,095.00	465.00	48,560.00	52,649.00	52,649.00
020	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	27	-	-	-	-	-
021	საპროცენტო ხარჯი	28	-	-	-	-	-

022	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი[2]	20; 26	-	-	-	-	-
023	გაუფასურების ხარჯები	21	-	-	-	-	-
024	სხვადასხვა ხარჯები	22	-	-	-	-	-
025	***სულ ხარჯები***		48,129.00	69,415.00	117,544.00	123,515.00	123,515.00
026	***პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)***		(48,095.00)	507.00	(47,588.00)	(47,899.00)	(47,899.00)

შევნიშნავთ, რომ 2025 წლის განმავლობაში საოპერაციო შემოსავლები არ უფიქსირდება, სულ მიღებულია 69965,0 ლარის შემოსავალი, მათ შორის: შემოსავლები შიდა ტრანსფერებით 34,0 ლარი და ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 69922,0 ლარი. ტელევიზიის შემოსავლებს წრმოადგენს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სახსრები, როგორც საბიუჯეტო დაფინანსების, ასევე არასაბიუჯეტო (საკუთარი) შემოსავლების ფარგლებში.

აღნიშნული შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯი მოცემულია ქვემოთ ცხლილის სახით,

შენიშვნა N24 საქონელი და მომსახურების ხარჯი						
დასახელება	**საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა**			**წინა საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებული ბრუნვა**	**წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვის ცვლილება (+/-)**	**წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა**
	საბიუჯეტო სახსრები	**არასაბიუჯეტო სახსრები**	**სულ**			
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება		60,600.00	60,600.00	59,512.00		59,512.00
მივლინების ხარჯები			-	-		
ოფისის ხარჯები	34.00	6,850.00	6,884.00	7,893.00		7,893.00
წარმომადგენლობით ხარჯები			-	-		
კვებისა და სამედიცინო ხარჯები			-	-		
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშ. ხარჯები			-	-		
ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები			-	-		
სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები			-	-		
სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურების ხარჯები		1,500.00	1,500.00	800.00		800.00
სულ საქონელი და მომსახურების ხარჯი	34.00	68,950.00	68,984.00	68,205.00	-	68,205.00

აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი უზუსტობები, რომლებიც დაადასტურებდენ საზოგადოების საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო

სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (სსბასს-ების) და „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ინსტრუქციისა მოთხოვნათა შეუსაბამობას - შემოსავლების, ხარჯებისა და პერიოდის ნამეტ/დეფიციტის ანგარიშებში. გარდა იმისა, რომ არ არის დანერგილი განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგია შესაბამისად ვერ ხერხდება ტელევიზიის მიერ გაწეული კომუნალური, კავშირგამბულობის, დასუფთავების და სხვა ხარჯების გამიჯვნა უნივერსიტეტის ხარჯებიდან (ავტორიზებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს საკუთარ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში და ფილიალებში დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის მეთოდის დანერგვა და შესაბამისი სააღრიცხვო-ფინანსური ინფორმაციის წარმოება, საქართველოს კომუნიკავიების ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

აქვე ავღნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდში ტელევიზიას სულ მიღებული აქვს 69956,0 ლარის შემოსავალი, მათ შორის: ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 69922,0 ლარი და შემოსავლები შიდა ტრანსფერებით 34,0 ლარი. მიღებული სახსრების ფარგლებში გაწეულია 69956,0 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში 34,0 ლარი, არასაბიუჯეტო სახსრების ფარგლებში 69922,0 ლარის.

აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი უზუსტობები ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშში, გარდა იმისა, რომ არ არის დანერგილი განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგია შესაბამისად ვერ ხერხდება ტელევიზიის მიერ გაწეული კომუნალური, კავშირგამბულობის, საბუღლტრო, დასუფთვებისა და სხვა ხარჯების გამიჯვნა უნივერსიტეტის ხარჯებიდან.

აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ ტელევიზიის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.]

საწესდებო კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

	წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება						
							საანგარიშგებო პერიოდი
	დასახელება	**შენიშვნა[1]**	**საწესდებო კაპიტალი**	**გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი**		**რეზერვები**	**სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი**
				საბიუჯეტო სახსრები	**არას-ეტო სახსრები**		
001	**საწყისი ნაშთი 31.12.2024**		**-**	**465,190.00**	**39,423.00**	**-**	**504,613.00**
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	0'!A1					-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	0'!A1					-
004	კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად						-
005	კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად						-
	სულ ცვლილება		-	-	-	-	-
006	**გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი 01.01.2025**		**-**	**465,190.00**	**39,423.00**	**-**	**504,613.00**
	წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება						
007	კაპიტალში შენატანები						-
008	კაპიტალის ამოღება						-
009	რეზერვების ზრდა/კლება						-
010	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი			(48,095.00)	507.00		(47,588.00)
011	მესაკუთრეებისათვის გასანაწილებელი თანხები						-
	სულ ცვლილება		-	(48,095.00)	507.00	-	(47,588.00)
012	**საბოლოო ნაშთი**		**-**	**417,095.00**	**39,930.00**	**-**	**457,025.00**
							წინა საანგარიშგებო პერიოდი
001	**საწყისი ნაშთი 31.12.2023**			**506,754.00**	**45,758.00**		**552,512.00**
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	0'!A1					-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	0'!A1					-
004	კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად						-
005	კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად						-
	სულ ცვლილება		-	-	-	-	-
006	**გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი**		**-**	**506,754.00**	**45,758.00**	**-**	**552,512.00**
	წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება						

007	კაპიტალში შენატანები						-
008	კაპიტალის ამოღება						-
009	რეზერვების ზრდა/კლება						-
010	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი			(41,564.00)	(6,335.00)		(47,899.00)
011	მესაკუთრეებისათვის გასანაწილებელი თანხები						-
	სულ ცვლილება		-	(41,564.00)	(6,335.00)	-	(47,899.00)
012	**საბოლოო ნაშთი 31.12.2024**		**-**	**465,190.00**	**39,423.00**	**-**	**504,613.00**

აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი უზუსტობები კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში, გარდა იმისა, რომ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების განხილვისას გამოთმული შენიშვნები შესაბამის გავლენას მოახდენს გაუნაწილებელი და პერიოდის ნამეტი/დეფიციტის მუხლებზე.

აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომ ტელევიზიის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოთხოვნა/ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე არ ფიქსირდება.

ნუგზარ ხიჯაკაძე (რეგ. № SARAS-A 859265)
შპს „კომპაუდის“ სახელით
(რეგ. № SARAS-F-19441) ნ. ხიჯაკაძე